რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ა. გ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროებისა" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., პატარა ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.


ეროვნული ბიბლიოთეკა


ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".


## განცხადება

გულ-მხურვალედა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხოს და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენი სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველგვარი ზეპირ-გადმოცემაები, შეძლებისა და გვარად, მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან „დროებისა" და ან „შრომის" რედაქციაში გამოაგზავნონ ხოლმე. ამათ ისინი რიგიან სამსახურს გაუწევენ ჩვენს დედა-ენას და კერძოთ მეც დამავალებენ. მხოლოდ ამას კი ვსთხოვთ, რომ გადმოწერის დროს, არაფერი გაასწორონ და თავისი არა მოუმატონ-რა; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ, უმეტ-ნაკლებოთ, და აგრეთვე ისიც მოიხსენიონ—თუ ჩვენის ქვეყნის რომელ კუთხეში გაუგონიათ იმათგან დაწერილი შაირი, ზღაპარი და სხვ.

უმორჩილესად ვსთხოვთ ქართველ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომ მათ გაზეთ ჟურნალებშიაც გადაბეჭდონ ეს თხოვნა.

აკაკი.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 20 მაისს. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ძე და გერცოგი ევგენი მაქსიმილიანის-ძე შავს ზღვაზე მიდიან 23 მაისს.

მოსკოვი, 20 მაისს. დღეს მეორე საათის ნახევარში გაიხსნა გამოფენა. დაესწრნენ· დ. მ. ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე, გერცოგი ლეიხტენბერგსკი, გრაფი იგნატიევი და სამხედრო მინისტრი ვანნოვსკი. მიტროპოლიტმა მაკარიმ მოლეგნა გადაიხადა. მოსკოვის დეპ. დუბ. თ. დოლგორუკოვმა წარმოსთქვა სიტყვა დიდის მთავრის. ორკესტრმა, რუბენშტეინის დირიჟორობით, დაუკრა მუზიკა, რომელიც განსაკუთრებით ამ შემთხვევისათვის არის შეთხზული. გამოფენის სასტუმროში გამართულს საუზმეზე წარმოსთქვეს ხელმწიფის სადღეგრძელო.

პეტერბურღის ბირჟა, 20 მაისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 93— | 25 |
| მეორესი — — — — | 90— | 25 |
| მესამესი — — — — | 90— | 62½ |
| მეოთხესი — — — | 90— | 37½ |
| მეხუთესი — — — | 90— | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89— | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89— | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89— | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— | 8 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 217— | 50 |
| მეორე სესხის — — | 210— | 50½ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—35 | პენსი |
| ჰამბურღი — | 207—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 256—50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## დღიური

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში მცხეთის სვეტი-ცხოვლის ეკკლესიიდამ ჩამოუტანიათ აქ, როგორც ამბობენ, მოსკოვში გამოფენაში გასაგზავნად, საკათოლიკოზო ძველი კვერთხი, რომელიც ძვირფასი და მშვენიერის ხელოვნებით ნაკეთები ნივთია.

წინააღმდეგი არა გვაქვს-რა სათქმელი: გაგზავნონ, აჩვენონ ქვეყანას ეს ნივთი, და იმედი გვაქვს, რომ ისევ ისე დაბრუნდება, როგორც აქედამ მიაქვსთ.

* * *

ხვალ კვირას ქალაქის რჩევის ზალაში ქალაქის ვაჭრები, მესჩანები და ხელოვნები მოწვეულნი არიან ობლების სასამართლოის თავსმჯდომარის ამოსარჩევად. ამ საგნის შესახებ ვაჭრების გამგეობა (უპრავა) აქაურ რუსულ გაზეთებში ბეჭდავს განცხადებას, რომლითაც 1 და 2 გილდიის ვაჭრებს იწვევს ხვალინდელ კრებაზე.

„მესჩანსკის" გამგეობას (უპრავას) კი, როგორც გვითხრეს, მხოლოთ რამდენიმე პირისათვის დაურიგებია ამ კრებაზედ მოსაპატიჟებელი უწყება.

რადგან ამ თანამდებობის არჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ღარიბ ხალხისათვის, ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ამ გვარი გამოცხადება და მოწვევა საკმაო არ არის: საჭირო, იყო, რომ თითოეულ ამქრის უსტაბაშს გამოეცხადებინა თავის ამქრისათვის და რაც შეიძლება მომეტებული ხალხი მოგროვილიყო ამ კრებაზე. თორემ მესჩანსკის უპრავის სტარშინა თავის ნებით ვისაც უნდა მოიპატიჟებს და ვისაც არა, არა—ეს სადაური წესია.

უკეთესი იქნება, რომ ეს ხვალინდელი კრება შემდეგისათვის გადაიდევას და იმ დრომდინ ყველას შეატყობინონ, ვისაც კი ამ საქმეში რაიმე ინტერესი აქვს.

* * *

ქუთაისში მყოფს ჩვენს ტფილისელ ტრუპპას თურმე დიდი წარმატება აქვს, როგორც იქიდამ გვწერენ:

საზოგადოებას მოსწონს მისი წარმოდგენანი და მას საზოგადოებისაგან აღმოჩენილი თანაგრძნობაა. ჯერჯერობით უთამაშნიათ: არსენა და მოძაგვდაგნი სურათები, პარასკევს 21

## «დროების» ფელტონი, 22 მაისი.

### გაშმაგებული ქალი

(ფრანცუზულიდამ ნათარგმნი*)

გაბრიელი ერთს წუთს შედგა. განა თითონ არა გრძნობდა როგორ უწყალოდ ეკიდება მამას. რამდენჯერ ჩუმად თავისთვის გამოუთქვამს ეს აზრები, რომელიც ეხლა ფიცხლად, თითქმის უნებლიეთ წარმოსთქვა:

—ამ ერთს წელიწადში ძალიან დავიტანჯე, განაგრძელა გაბრიელმა, აქამდის იმედს არ ვკარგავდი, იმ მშვიდობიანობის იმედს, რომელიც თქვენ მაჩვენეგეთ, როგორც ცხოვრების უცილებელი განძი. ამაზე მეტი ვეღარ შევიძელ. ვნანობ ჩემს მორჩილობას, ვნანობ, რომ აქამდის ხმას არ ვიღებდი, ჩემ გულს ვტანჯავდი და სიყვარულის სურვილს ვკლავდი. თავს ვიკავებდი მხიარულობისთვის გამზადებულ სურვილს ვიპყრობდი. მეტა თავს ველარ გავწირავ, რადგან ჩემი თავის შეწირვა აღარად მიაჩნიათ.

—ქმარა, გაბრიელ! უთხრა ბძანებით ადმირალმა, რომელსაც თავისი უფროსობა არ ავიწყდებოდა.—შენდა მიჩვენო ის წერილი! ამ წუთას გამომიგზავნე და ნუ დამენახვები, სანამ მე თითონ არ დაგიძახო. თითონ მინისტრისგან შევიტყობ—ვინ სთხოვა იმ აფიცრის დანიშვნა ჩემ სიძის ადიუტანტათ. თუ უსაფუძვლოთ გაგიზვიადებია ეგ საქმე, თუ ცილსა სწამებ მხოლოდ იმიტომ, რომ ბერტა სძრახავს იმას და თუ ვნახავ, რომ ეგ მხოლოდ წინ დაუხედავი წვილია, მაშინ გაგვიფრთხილდი მეც და შენ ქმარსაც!

ადმირალმა ხელი აიქნია და ქალი ოთახიდამ გივიდა.

გაბრიელი ავიდა თავის ოთახში აილო დაჭუჭყნული წერილი და გადიკითხა. ეშინოდა, ხომ არ გავაზვიადეო, რადგან ისე აღელდა წერილის კითხვის დროს, რომ მხოლოდ იმის აზრი დაეხსოვნა.

აი რასა სწერდა გაბრიელს ამის ბიძაშვილი ბერტა, ადმირალის ღვიძლი ძმის-წული. ბერტას ქმარი იყო აფიცრათ იმ გემზედ, რომელიც იდგა იმ კოლონიასთან, სადაც ღუბერნატორად და ამ გემის უფროსათაც კომანდირი ნეისსი იყო.

„ჩემო მეგობარო! ნუ დაუთმობ და შენებურად მორჩილად თავს ნუ დაჰხრი, როდესაც ამ წერილს წაიკითხავ, რადგან ჩვენი გვარის გაუპატიურებაა. შენს ამპარტავნობას ნუ დაივიწყებ და თავს ნურავის დაახაგვერინებ. მადამ დ......, რომლის საფრანგეთში დატოვება შენ ქმარს ძალიან ეძნელებოდა, რადგან იმასთან კავშირი არას დროს არ შეუწყვეტია, (უნდა იცოდეთ შენც და მამა შენმაც, თუ კი ბიძია ჩემი კიდევ იჭვნეულობს) ის მადამ დ..... რვე დღეა, რაც აქ მოვიდა თავისი ქმრით, რომელიც დანიშნულია ადიუტანტათ ღუბერნატორთან, ამ ბატონ ღუბერნატორის თხოვნითვე! პატივცემულ ბარონის მოადგილე ეხლა ის არის და თქვენი მოადგილე კი, რადგან აქ არა ხართ მადამ დ—ა. ამიტომაც ჩემმა ქმარმა გამოუცხადა შენ ქმარს რომ მე აღარ მივიღებ იმის დაპატიჟებას. ბატონ ღუბერნატორმა დღეს ჩემი ლუი დაიბარა და უბძანა დღესვე შორს გამგზავრება, ვითომ და სამსახურის გამო. ჩვენში მოვილაპარაკეთ და ერთად მივედით იმასთან, ჩვენ უფროსთან და ჩემ ნათესავთან. ჩემმა ქმარმა სთხოვა სამსახურიდამ დათხოვნა მაგრამ იმან ურცხვად გვითხრა, რომ, რადგან ვენათესავებით, გვითმობს ამ წინააღმდეგობას და ოც-და-ოთხს საათს გვაძლევს მოსაფიქრებლად. ლუიმ არჩია თავის მომავალის მიწასთან გასწორება, ვიდრე ჩემი დამცირება. ჩვენი პატიოსნება, ჩვენი სახელი, ჩვენი შენთან მეგობრობა და ბიძა ჩემის პატივისცემა ვალდებულად გვხდიდა ასე მოვქცეულიყავით.

„ზემო ღუბერნატორის სასახლეში იმართება წვეულობა სახელობრივ მადამ დ—სთვის და ის იქნება ამ წვეულობის ბატონად. სიყვარულით ვადაგკოცნი. მომიკითხე ბიძა ჩემი".

ბერტა.

—მამა ჩემი ყველაფერს გაიგებს, როდესაც ამ წერილს გადიკითხავს, ეუბნებოდა თავის თავს გაბრიელი,—თუნდ ეგრეც არ იყოს, რა მენაღვლება! თუ მინდომებს ასეთს, როგორიცა ვარ, ხომ რა, კარგი, თუ არა და....

გაბრიელმა თითონაც არ იცოდა,

*) „დროება", № 102.

უნდა წარმოუდგინათ **სამშობლო**. დაწვრილებით ამბები ყველა წარმოდგენაზე შემდეგში დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

***

გუშინწინ, 20 მაისს ქუკიაში წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის გალავანში გაუჩნდა ცეცხლი წმინდა სანთლის ქარხანას. ცეცხლი დაიწყო 8 საათზე და 45 წამ. ჩვენი გამოჩენილი ცეცხლის საქრობი კამანდა კი მოიხინდა ათ საათზედ, როდესაც თითქმის ხალხმა გადაარჩინა გვერდების შენობები და ცეცხლი თავის-თავად გაქრა. რაც შიგ ჩამოსხმული სანთელი იყო სულ დაიწვა.

***

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი შენიშვნის დაწერას:

„ამ დღეებში „წერა-კითხვის საზოგადოების“ განცხადება იბეჭდებოდა და მხოლოდ დღეს (ხუთშაბათს) შევნიშნე ამ განცხადებას ისეთი ნაკლულევანება, რომელსაც შეუძლია „მიზეზ მიზეზ... დოს მარილი აკლიაო“, მიუმატოს ჩვენს უიმისოთაც ზარმაცობას. განცხადებაში არ არის მოხსენებული ამ კვირას რომ კრება უნდა მოხდეს, ან რა ადგილს იქნება, ან რომელ საათზე, დილით, თუ საღამოზე? თუ ამწყობის შეცდომაა, გთხოვთ გაასწოროთ და თუ განცხადების დამწერს დავიწყებია, კვირამდის მაინც სრული ცნობა გამოჩნდეს.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

**საჩხერე**, 10 მაისს. ერთს ახირებულ ამბავს მოგახსენებთ: წასულ აპრილში ჩვენში მობძანდა შორაპნის მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე. ბ. გ: ე.—ი, რომელთანაც პირველი საჩივარი შეიტანა სიტყვიერად მისმა ნათესავმა კაცმა. საჩივარი იყო შემდეგი:—ოცდა ხუთი წელიწადია, თითქმის, რაც სამსახურში ვიმყოფები და ჩემთვის ესრედი ამიდა ჯერ არავის მოუცია; გთხოვთ დასაჯოთ ის კაცი, რომელმაც მოიგონა ეს შეურაცხმყოფი სიტყვა...

— რა სიტყვა? ჰკითხა გაოცებულმა ე—მა თავის ნათესავს.

— როგორ თუ რა სიტყვა, შე დალოცვილო! ჩემი პატარა ვაჟი გამოვა თუ არა სახლიდამ, მთელი ბაზრის ბავშვები ეძახიან: **გესნაურს**. თქვენ ჭკვიანი კაცი ბძანდებით და იფიქრეთ—თუ როგორი მოსათმენია ჩინოვნიკისაგან ამისთანა სიტყვის გაგონება.

— ოჰ, ეს მართლაც რომ არარის მოსათმენი!

მიუბრუნდა იქვე მდგომს საჩხერის პოლიციის პრისტავს ბ. ლ. ჩ—ს და უბრძანა: ახლავე დამნაშავე აღმოაჩინე და მომიყვანე.

თუმცა ბ. პრისტავს აღარ ჰქონდა ფეხზედ დგომის თავი და მით უმეტეს გამოძიებისა, უზომო სიმთვრალისაგამო, მაგრამ მაინც მოისმინა ბრძანება და ანიშნა მამასახლისს, რომ ის წასულიყო გამოსაკვლევად, ვისგან იყო წარმოთქმული პირველად ეს სიტყვა.

სანამ მამა-სახლისი დაბრუნდებოდა ესენი შეუდგნენ გარკვევას, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვა და ან რა ზომა უნდა მიეღოთ დამნაშავის დასჯისათვის. სიტყვა აუხსნელი დარჩა და ამან უფრო აღაშფოთა ესენი. იცემდენ გულში ხელს, რომ წაერთვათ ძველი უფლება, როდესაც კაცის დასჯა ანუ გამართლება მათს სურვილზედ იყო დამოკიდებული... ბოლოს დაადგინეს: ხვალვე ხალხს თავი შეუყაროთ შეუდგინოთ პრიგავორი და დამნაშავე გადავასახლოთ აქიდამ!

ამ დროს დამნაშავეც მოეძებნათ და მოიყვანეს. ბ. ე—ს ერთი-ორად გარდაექცა მღელვარება, წამოდგა ფეხზედ. ჩაახველა და დაიძახა:—აქ მომიყვანეთ ეგა! საწყალს დამნაშავეს ციება მოზდიოდა შიშისაგან. თავის გასამართლებლად უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ დაიწყებდა თუ არა, ერთხმად მიაძახებდენ: „გაჩუმდი თორემ ქოჩრიდამ დაწყებული კოჭებამდი გაგაძრობ ტყავს!.“ მეტი რა ღონე ჰქონდა, რომ არ გაჩუმებულიყო.

ეს საქმე გადაიდვა მეორე დღემდის, მისთვის რომ გაჩნდა მეორე მომჩივანი რომელმაც მოახსენა: შვილი მომიკლეს! გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამიკიტნოში მსხდარიყვნენ, სადაც ჩხუბი მოსვლოდათ სიმთვრალის დროს; მომჩივრის შვილი გაელახათ, ის მამას გაატანეს და მეორე კი თოფიან სალდათებს სატუსაღოში.

მეორე დღეს დაბარებულნი იყვნენ აქაური მიკიტნები პოლიციაში, სადაც გამოუცხადა ბ. ე—მა, რომ უკეთუ შემდეგში მათგანს რომელიმეს გაუბედავს ღვინისა ანუ ოტკის გაყიდვა, ანუ მათი დუქნების მახლობლათ გაუვლია მთვრალს, კანონის ძალით დაებეჭდებათ დუქანი.

შემდეგ დაიბარეს დატუსაღებული და ბ. ე—ი, ხან გალახვას, ხან ციმბირში გაგზავნას და ხან ჩამოხრჩობას ემუქრებოდა. უკანასკნელად დიდის ხვეწნით ხელ-წერილით ითავდება აქაურმა აზნაურმა ბ. ს. გ-მი.

რადგან სიტყვა **„გესნაური“** აუხსნელი დარჩა და დარჩება კიდეც, ამისათვის სიტყვის მომგონს ეპატივა მისი დანაშაულება.

შემდეგ ამ ნაირის რიგიანი განკარგულებისა ყოველი უწესოება თითქმის სრულიად მოისპო ჩვენში და
ლარც მთვრალს დაინახავთ ჩვენს ბა
ზარში მომავალს; გარდა ჩვენი პრი
ტავისა, რომელიც, ღმერთმან აცო
ხლოს, საშინელი ქეიფის მოყვარუ
არის და ამის გამო ხშირად ვხედა
ხოლმე, რომ მიჰყავთ ბინაზედ გა
ვებული და უფრო ხშირად ური
ერთხელ ესეც ვნახეთ: როდესაც
პრისტავი გადაკრული მობრძანდებო
და, ბაზარში შეხვდა იმსაეით გადა
რული გლეხი-კაცი, რომელიც მიდ
ოდა სახლისაკენ. იმან გააჩერა ის
უთხრა:—როგორ გაბედე შენ და
რობა? წამოდი ეხლავე, ნაობა
უნდა ჩაგსვა მაგ უწესობისთვისო.

და წაავლო ხელი წასაყვანად. მ
რამ გლეხი გაუძალიდა და უთხრა:—
თუ ნაობალში ჩამსვამ შენც ჩემთ
უნდა დაჯდეო, რადგან შენ ჩემზ
უფრო მთვრალი ხარო და ჩემზ
მეტს უწესოებას შვრებიო.

ამაზედ შეექნათ ერთი კინწლაო
წაიქცენ ორნივე ტალახში და ორ
ამოილანგნენ, მაყურებელთა სასაც
ლოთ...

ამ ნაირს მის მოქმედებას რიც
არა აქვს და აქედამ შეუძლია მკით
ველთ წარმოიდგინონ, როგორი
სების დამცველების ხელში არის ს
ხერის უჩასტკის მცხოვრებლების
დი, უმეტესად მდაბალი ხალხის, რო
მელთაც ხშირად ცხვირ—პირში
სცემენ.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენის გაზ
№ 94-ში დაბეჭდილია ბ. ალექს
დრე ფიფინაშვილის სტატია, რო
ლიც შეეხება ქუთაისის საურთიერ
კრედიტის საზოგადოების კრებას. ს
ტიის ავტორი იჩენს დიდ-ძალ გუ

---

თუ რას ამბობს. მაშინვე დაბეჭდილი წერილი მან ხურის ხელით ჩაუგზავნა ადმირალს.

ადმირალმა ამაყად გადაიკითხა და თავის სიძის გასამტყუნებლად მხოლოდ ორი სიტყვა წარმოსთქვა:

— რა სულელი და სალახანა ყოფილა!

II

გაბრიელი საჩქაროდ ჩაიდა ქვევით, გაიარა ბაღი და გასწია ტყეში. თან-და-თან ალელვება ემატებოდა; როდესაც ადმირალთან გაჯავრებამ სულაც არ დაამშვიდა. რასაკვირველია, სჯობდა, რომ მამას სჩვენებოდა ისეთი, როგორიც იყო—ამაყი და გამბედავი, მაგრამ თითქოს ნანობდა თავის სულ-მოკლეობას და რომ ვერ შეიძლო თავის შეკავება. ვითომ რა გამოვიდა, რომ მამას უთხრა თავის გულის-პასუხი? განა ნუგეში მიიღო იმისაგან? ეხლა უფრო გრძნობდა თავის თავს უბედურად; სხვა-და-სხვა აზრები აერია თავში; არ დაზოგავდა თავის სიცოცხლის ათს წელიწადს, რომ მამასთან ნათქვამი სიტყვები დაებრუნებინა და თუნდ კიდევ სხვა ათს წელიწადს გასწირავდა, რომ შესაძლო ყოფილიყო ჩაეკრა გულში და ეთქვა თავისი გულის-პასუხი იმ ბიძაშვილისთვის, რომელმაც შემთხვევით იცოდა ამისი საიდუმლო.

რამდენსაც შედიოდა დაბნელებულ ტყეში უფრო და უფრო აგონდებოდა თავისი გავლილი უნუგეშო სიცოცხლე და კვლავ ბევრი გაუგებარი შემთხვევა ეხლა ნათლად ეჩვენებოდა. მერე ერთბაშად შედგა, თითქოს გზაზე გადუდგა ისეთი უძლეველი შემთხვევა, რომლის აცილება შეუძლებელი იყო.

გაშმაგებული ქალი თავის გულს ეკითხებოდა და თითონვე პასუხს აძლევდა. თავის თავს არწმუნებდა, რომ სწორედ ისე მოიქცა, როგორც რიგი იყო, რომ იმის ალაგას ყველანი ისე მოეკიდებოდენ ადმირალს, როგორც ისა. თავს დაიცავდენ, შეეტაკებოდენ იმას, ვინც შეურაცხებას მიაყენებდა, ერთის სიტყვით ავისთვის ავს უზამდნენ. და თან ფიქრობდა, რომ ისე ცხოვრება, როგორც აქამდის, შეუძლებელია, თავის მოტყუება. თუ მაინც და მაინც გაბრიელს თავზედ ხელ-აღებით ბორბალი გაიტაცებს, იგი მაინც მარტო არ ემსხვერპლება სიცოცხლის ბრუნვას.

მაშინ თვალ წინ წარმოუდგა შეყვარებული რობერტი, ის მიჯნური, რომელიც კლავი კლავში გაყრილი გაიტაცებდა იმას ვალსის სათამაშოთ.

გაბრიელს უნდოდა თავიდამ მოეშორებინა გულის მამკვლელი მოგონება, მაგრამ ველარ შეიძლო თავის დაკავება, ჭკუა აღარ უჭრიდა.

საშინლად აღშფოთებული იყო! გრძნობდა უსამართლობას და უნდოდა შეურაცხება იმისი, ვინც აწყენინა, უნდოდა შურის-გება. მაგრამ როგორ, ის კი არ იცოდა?

ამ აზრმა გაბრიელი წამოაწითლა. გული უძგერდა, ტუჩები უთრთოდნენ, თვალებ-დახუჭული ჩუმათ ამბობდა უმნიშვნელოთ.

— რა მშვენიერი ღამეა! მე კი ასე ვიტანჯები; მე მინდა....მაგრამ რა....?

ქალი ჩავიდა ზღვის ნაპირას და მიუჯდა აქვე მდებარე ერთ დიდ აუზს; ამ აუზში ისე ერთ გვარად სწვეთდა წყალი, რომ კაცს ძილს მოჰგვრიდა. გაბრიელი ამ ხმაზე ცოტა დამშვიდდა.

ჩრდილი მოეფინა მთლად
ტერლის მაღლობს და ბურუსი
ხურა მზის სხივებისაგან ალის
შეღებილ არე-მარეს. განუზომ
სივრცეზე გაჭიმული ცის-სარტყ
მოშორდა აღმოსავლეთს და ზღვ
დაეშვა. ზვირთი ქარისაგან იჭმუხ
ბოდა, მარცხენა მხარეს შავათ გ
ვენებოდა, მარჯვნივ კი მოწითალ
მზის სხივებით ჯერ კიდევ მოფენ
იყო კონცხის წვეტი და მოჩან
იქაური სოფლის ნაპულის დაბ
სახლები.

ცას თან და თან ფერი ეცვლ
და, ზღვა და ორიზონტი გათეთ
გარშემო ადგილები ღამის ტ
სით შეიმოსნენ, ყველაფერს—
დედამიწას და წყალს მოლურჯო
რი გადაედო; ვარსკვლავებმა მო
ყველგან თავიანთ ნაპერწკლები;
შავდნენ ხეები და თავი დაიხ
ვითომც ისინიც ძილს აპირებდნენ.

(დასასრული შემდეგში)

მტკიცეულობას ჩვენს მოქალაქეებზედ, თუმცა, მართალი უნდა ვსთქვათ, ამ გვარი მწრფელი გული და გრძნობები მისთვის აქამდის არა ვის შეუმჩნევია და, როგორც მკითხველი დაინახავს „შრომის" ნომრებისაგან, ფაქტებიც წინააღმდეგს ამტკიცებენ.

რადგანაც ხსენებულს სტატიაში ავტორი ცილს მწამებს, ამის გამო გთხოვთ, ბ. რედაქტორო ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით აღვადგინო სიმართლე და თქვენი რედაქციაც ავაცილო იმ აშკარად ცილის-მწამებლების ხრიკებს, რომელნიც, ოღონდ კი რაიმე დაიმსახურონ ზოგიერთის პირების წინაშე, თავს არ იზოგვენ და ტყვილსა და მართალსა ერთი მეორისაგან არ არჩევენ.

აქაურის საზოგადოებისათვის და უფრო მათთვის, ვინც იმ კრებაზედ დაესწრო, ცხადია, რომ ყოველივე ის, რასაც ბ. ფიფინაშვილი ანბობს თავის სტატიაში ჩემზედ არის განძრახვით გამოგონილ ცილის-წამება, რომელიც ავტორს საკმაოდ ამარცხებს და არცხვენს მათ წინაშე, ვიზედაც მას ვითომ გული შესტკივა.

მე რომ ბ. ფალავაზედ არ მითქვამს არაფერი იმის მსგავსი, რაც ავტორს ჩემთვის მოუწერია, ეს ყველამ კარგათ იცის და მე დარწმუნებული ვარ, თვით ბ. ფალავა და ბ. აბულაძე, რომელმაც ბ. ფიფინაშვილის სიტყვებით ვითომ მე კიდეც გამამტყუნა და ჩამლაგმა, ამ გვარ უხეირო ცილის-წამებისგან დამიფარვენ. კრებაში მე მხოლოდ იმას ვამტკიცებდი, რომ ჩვენი უსაგნო ლაყბობა უმნიშვნელო კორექტორის შეცდომებზედ ბანკს ვნებას აძლევს-მეთქი (და ეს რომ ნამდვილია, ყველამ კარგათ იცის) და საზოგადოებას წინადადებას ვაძლევდი არ მიექცია ყურადღება ქალაქში დაყრილი ხმებისათვის და საქმეს შესდგომოდა.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ მე ბ. ფალავა არც მოხსენებია და ქალაქში ხმების დაჭყრა, ვითომ ბანკში ფულები აკლდეს, არავისთვის სახელდობ არ მიმიწერია და ძრიელ გაკვირვებულიც ვარ საიდგან გამოძებნა ბ. ფიფინაშვილმა ბ. აბულაძე, რომელსაც ვითომც ჩემი გამტყუნება და ჩალაგმაც დაჭირდა! იმისთანაც ცილის-წამების კორექტურულ შეცდომად ჩათვლა, რომელსაც სტატიის მთელი სვეტი უჭირავს და სადაც ავტორი სიცრუის დასამტკიცებლად მოწმეებსაც ასახელებს, მე მგონია არას გზით არ შეიძლება. ამის შემდეგ, როგორც ხედავს მკითხველი, მე სწორეთ არ ვიცი, რა ვიფიქრო იმ საზოგადო მოქმედ პირზედ და თან მსაჯულზედ, რომელიც აშკარა ტყვილზედ მოწმეების შოვნას სცდილობს!!...

დიმიტრი ნაზაროვი.

P. S. ამ წერილის გამოგზავნა მისთვის დავაგვიანე, რომ მეგონა, ბ. ფიფინაშვილი თავის შეცდომას გაასწორებდა და კიდეც მითხრეს, რომ აპირობსო. ეხლა ვხედავ, . . . . . . . . . . . . . უსაფუძლო ცილის-წამების გასწორებას არ ფიქრობს, და ეს გარემოება ნებას მაძლევს თქვენი გაზეთის საშუალებითვე აღვადგინო სიმართლე.

დ. ნაზაროვი.

---

## ხმა „შრომისა" ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკზედ*)

ახლა გარდავდივარ სხვა ნაირ საბაასო ნიადაგზე, შესახებ იმ სამი საგნისა, ანუ წინადადებისა, რომელიც აღძრა „შრომამ" თავის მესამე ნომერში ბანკის წესდების შეცვლაზე. ამასთანავე მადლობაც უნდა გამოვუცხადო „შრომას" ამისთანა საგნების აღძვრისათვის და ისიც უნდა დავსძინო, რომ უფრო მადლობის ღირსი იქნებოდა და უფროც აასრულებდა თავის მშვენიერ დანიშნულობას, რომ ამ გვარ საგნების აღძვრით და მათის განხილვით შეიქცევდეს თავს და „კრუხებს" თავს დაანებებდეს.

პირველი წინადადება წესდების შეცვლისა შეეხება მას, რომ „ყველა თავად-აზნაურს, ვისაც კი ბანკის დაარსებაში მონაწილეობა მიუღია, და რამდენიც უნდა იყოს მათგან შეტანილი ფული, თანასწორი უფლება და ხმა უნდა ჰქონდესთ".

ამასთანავე „შრომა" რაღაც ახირებულათ იკვირვებს: „რატომ ორას მანეთიანს აქვს ხმა? რა დააშავა იმან, ვისაც ას ოთხმოც-და-ცხრამეტი მანეთი შეუტანია?" ეს გარემოება ტყვილათ უკვირს „შრომას", დაშავებით არც ერთს არა დაუშავებია-რა, მაგრამ სადმე ხომ უნდა იყოს სამზღვარი. მაგალითად, სამასი მანეთის ღირებული ნივთი რომ მოიპაროს კაცმა, სულ სხვა ნაირად სჯის კანონი და სამას-ერთი მანეთის ქურდს—სულ სხვა ნაირად; რატომ აქვს ერთ მანეთს ამდენი განვლენა? ოც-და-ერთ წელიწადს ერთი დღე რომ უკლდეს კაცს, არა აქვს ნება თავისი ადგილ-მამული გაყიდოს და თუ არ უკლია, კი აქვს ნება, ესე იგი, დღეს არა აქვს ნება და ხვალ კი. ნუ თუ ერთ დღეს გაჭკვიანდება კაცი? მაგრამ რა ექნათ კანონების შემადგენლებს? ხომ უნდა დაედვათ სადმე სამზღვარი?

საქმე ამაში კი არ არის; საქმე იმაშია, რომ ჯერ ის უნდა გადაწყდეს პრინციპიალურათ: საჭიროა თუ არა, რომ ბანკის საქმეების განსახილველად ყველა დამფუძნებლებმა მოიყაროს თავი, თუ ისე შემცირებულად მოვიდნენ, როგორც ეხლა დადიან, ესე იგი, რამდენი ორასი მანეთი არის შეტანილი, იმდენი კაცი მოვიდეს? ჩვენს ბანკს ეხლა რვა ათასზე მეტი დამფუძნებელი ეყოლება. წარმოიდგინეთ, რომ ნახევარმა იმათგანმა მოიყაროს თავი, ესე იგი, ოთხი ათასმა კაცმა. ჯერ კიდევ რომ გაკეთდეს იმათი დამტევი სახლი, არავითარი ღონის-ძიება არ იქნება, რომ ამოდენა ხალხმა რაიმე განსაჯოს და რაიმე გარდაწყვიტოს. დასამტკიცებელად ჩემის აზრისა, მე მოვიყვან აქ სიტყვებს რუსეთის გამოჩენილი ცივილისტის (სამოქალაქო კანონების მცოდნის) პობედონოვსკისას:

„საზოგადო კრებაში საქმეები გარდაწყდებიან ხმის უმრავლესობით. მაგრამ როგორ უნდა იქნეს დათვლილი ხმები? როდესაც აქციები წვრილნი არიან, და როდესაც ყველა აქციების მფლობელებს თითო-თითო აქციაც რომ ჰქონდესთ მაინც, მინიჭებული აქვთ ხმის უფლება, მაშინ მრავალ რიცხოვანი კრება გარდაიქცევა ხროვად, რომელსაც არ შეუძლია გონივრულად განსაჯოს განსახილველი საგნები და რომელიც ადვილად დაემორჩილება სხვა-და-სხვა განვლენას და ხმების შოვნას. აქედამ იბადება საჭიროება ცენზისა, ესე იგი, ხმის მინიჭება არა ერთის აქციისა, არამედ რამოდენიმე აქციის რიცხვისა".

გარდა ამისა, ხმა რომ ყველას ჰქონდეს და იმისთანა კიდევ, როგორც შემდეგ წინადადებაში გვირჩევს „შრომა", ხმის ვექილობით გარდაცემის უფლებაც რომ არ ჰქონდესთ, ეს უსამართლოება იქნება, იმიტომ რომ ბევრს არ ექნება შემთხვევა თითონ მოვიდეს და არც შეეძლება სხვას მიანდოს მისი ხმა. ყველასთვის ხმის მიცემა შესაძლოა იქ, სადაც ცოტანი არიან დამფუძნებელნი და სადაც ისე მრავალი არ იკრიბება, როგორც ჩვენში. ახლა უფრო სამართლიანად არ არის, რომ ყველას არ სჭირდება მოსვლა და ამასთანავე ყველას შეუძლია ჰყავდეს კრებაში თავის წარმომადგენელი პირი?

მეორე წინადადება შეეხება ვექილობას. „შრომის" აზრით, მხოლოდ უმახლობელეს ნათესავს შორის უნდა შეიძლებოდეს ხმის გარდაცემა ვექილობით და თითონ ვექილობა უნდა იყოს ნოტარიულის წესით დამოწმებული. რაც შეეხება ნათესავებს, ეგ ძრიელ დიდი შევიწროება იქნება დამფუძნებლებისათვის, რადგანაც ბევრს სულ არ ეყოლება უმახლობელესი ნათესავი და ბევრს იმისთანა ეყოლება, რომელსაც არ შეეძლება წამოსვლა კრებაში; მაშა სადამე იმათი ხმები უნდა დაიკარგონ. რაც შეეხება ნოტარიულის წესით დამოწმებულ ვექილობას, ერთი თომ თითოეული ვექილობა რამოდენიმე მანეთად დაუჯდებათ, ნოტარიუსი რომ სოფელში წაიყვანონ, და დამფუძნებელნი, თითქმის, სულ სოფლებში არიან. ამოდენა ფულს არავინ არ გარდიხდის და არც ღირს რომ გარდიხადონ. მაშა სადამე რამოდენიმე ასს და ათასს დამფუძნებლებს სულ ტყუილა-უბრალოდ დაეკარგებათ ხმები. მართალია, მეც დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ ვექილობაზე ცრუ მოწმეები უნდა აწერდნენ ხელს და იმათი გარჩევა ძნელია, მაგრამ ეს გარემოება, რომ მეორე უფრო მძიმე [illegible]ბით შევცვალოთ არ ივარგებს. მეტი გზა არ არის, ისევ სიების კრებაში წაკითხვით და კარგათ გამოკვლევით უნდა მოვეხმაროთ ამ საქმეს.

— შესანიშნავია, რომ გამიჯვნის დროს დასასწრები ვექილობა სულ ამისთანა არის, როგორც ჩვენი ბანკის წესდების ვექილობა (იხილე 82 § ბანკის წესდებისა და 51 სტატია კავკაზიის მხრის გამიჯვნის წესდებისა). თუმცა გამიჯვნის დროს დასწრება გასამიჯნავ მამულში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, მინემ ჩვენ ბანკში, მაგრამ ძრიელ იშვიათათ გამიგონია იქ ბოროტ მოქმედება.

მესამე წინადადება შეეხება იმას, რომ ვექილობა სამის დღის წინეთ უნდა იქმნეს წარდგენილი ბანკის კრებამდის, როგორც ბანკის წესდებაში არის ნათქვამიო. მართალია, ნათქვამი არის, მაგრამ მაინც-და-მაინც წესდება არ თხოულობს იმ პირობით, რომ მერე აღარ შეიძლება წარდგენაო და გარდა იმისა ეს ძრიელ შევიწროება იქნებოდა საზოგადოებისათვის. სწორეთ ამ გვარი კანონი გვაქვს სამოქალაქო წესდების წარმოებაში, ესე იგი, იქ სწერია (ст. 57 Уст. Гражд. суд.), რომ მომჩივანმა თავისი საჩივრის საბუთები უნდა წარუდგინოს მსაჯულს ყოველ შემთხვევაში წინა დღით, არა გვიან ორი საათისა ნაშუადღევსაო, მაგრამ მსაჯულები ამას ვერ მოსთხოვენ კაცს, ესე იგი, იმათ არა აქვსთ უფლება, რომ თითონ იმ დღესაც არ მიიღონ, როდისაც არჩევენ საქმეს.

ალექსანდრე ფიფინაშვილი.

(დასასრული)

*) იხ. „დროება" № 102.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევგიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილის-

ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტლების სოვეტში არის დანიშნული 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, პირველი ტორგი იჯარით გასაცემად წმიდა სანთლის ვაჭრობისა სომეხთ ეკკლესიებზე და მრევლზედ.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა დაწვრილებით პირობებისა ამავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანის სინოდის შუამავლობით ტფ. პირველ გილდიის ვაჭარს იაგორ მოსეს-ძეს კასუმოვს, მღვ. გევორქ ამულიანცს, თ. გიორგი პავლეს-ძეს არღუთინსკი-დოლგორუკის და ალექსანდრე არტაზოვს მიეცათ ნება-რთვა შესანიშნავ **ᲡᲐᲜᲐᲘᲜᲘᲡ** მონასტრის განსაახლებლად ფულის მოგროვებისა ნება-ყოფლობით შესაწევარით. ამისთვის სინოდიდამ ზემოხსენებულ პირთა აქვს გარდაცემული კანონიერი წიგნი, რომელშიაც ქალაქის მცხოვრებლებმა უნდა ჩასწერონ თავის ხელით რამდენსაც ამ სულის საქმისათვის შესაწევარს გაიმეტებენ. ამ შესაწევარის მოსაგროვებლად ბ. ტფ. გუბერნატორის ნება-რთვაც არის მიღებული. (3—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ვაზის ავადმყოფობის „ნაცარის“ წამალი

# ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘ

ფასი, ფუთი—2 მან. და 50 კაპ. აქვე ისყიდება აგრეთვე საბერველები ამ გოგირდის ვაზზე მოსაყრელად, თითო თითო მანეთად. (7—2)

ბოლგარულ-ინგლისური **ᲒᲣᲗᲐᲜᲘ ᲒᲝᲕᲐᲠᲓᲘᲡᲐ** მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ **Თ. Ა. ᲞᲔᲞᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ**, რომელიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა პეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში. (6—1)

## „ВОСТОЧНОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Еженедѣльная газета безъ предварительной ценз. под ред. Н. М. Ядринцева.

Изданіе посвященное жизни провинцiи окраинамъ.

Выходитъ съ 1-го апрѣля, цѣна 8 р.

Содержаніе №№ 1, 2, и 3: Востокъ и Западъ В. П. Васильева.—Колонизаціонный вопросъ на окраинахъ.—Что такое Поземельная Община С. Я. Капустина.—По поводу 300-лѣтія Сибири Е. В. Максимова.—Центръ и окраины С.—Русскій Востокъ и его будущность.—Провинціальный вопросъ и переселенія.—Жолтый вопросъ въ Америкѣ и въ Сибири.—Значеніе области въ русской жизни.—Беллетристика: Странникъ на золотомъ озерѣ Ядринцева.—Гонимые (изъ сибирскихъ нравовъ) Н. И. Наимова.—Воспоминованія и грезы восточнаго фельетониста.—Послѣднія новости по переселенческому вопросу.—Сибирскіе вопросы и реформы.—Хроника.—Политическіе обзоры и вѣсти съ востока.—Обзоръ общественной и провинціальной жизни.—Корреспонденціи изъ Тобольска, Томска, изъ Барнаула, съ Алтая и т. д.—Хроника жизни за недѣлю.—Критика и библіографія.—Биржевыя извѣстія.—Объявленія.

Подписка въ конторѣ редакціи, Ивановская, д. 13, кв. 18.

Въ Тифлисѣ подписка принимается въ газетномъ агентствѣ В. ШАВЕРДОВА. (5—2)

## ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები (სოფლის მამულებისა) სამის ათასის მანეთის 12% დაკლებით.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ალაზანის“ ღვინის სარდაფში, სოლოლაკის ქუჩაზე, ორბელის სახლში. იქვე ეჭირებათ მზარეული. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

# ᲥᲣᲩᲣᲛ

# ᲧᲐᲠᲐᲛᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

ზრიქურიოვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

## ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ხონის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1881 წლისა.

1 იანვარს 1881 წელს იყო

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . . | 2,658—84 | გასესხებული . . . . | 3,003— „ |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული . . . . | 141—40 | ნაღდი ფული . . . . | 77— 1 |
| წმინდა მოგება, შერიცხული სათადარიგო თანხათ . . . . . . | 279—77 | | |
| სულ | 3,080— 1 | სულ | 3,080— 1 |

1881 წელსა.

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . . | 721— „ | გასესხებული ფული . . | 5,857— „ |
| დაბრუნებული სესხი . . | 4,794— „ | სამმართველო ხარჯი . . | 57—61 |
| სარგებელი . . . . . | 359—76 | | |
| სულ | 5,874—76 | სულ | 5,914—61 |

1 იანვარს 1882 წელსა არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . . | 3,379—84 | გასესხებული . . . . | 4,066— „ |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული . . . . | 141—40 | ნაღდი . . . . . . | 37—16 |
| სათადარიგო თანხა . . | 279—77 | | |
| წმინდა მოგება 1881 წლისა. . . . . . . | 302—15 | | |
| სულ | 4,103—16 | სულ | 4,103—16 |

გამგებელნი სამმართველოისა: ევთიმე ჯალაგანიძე. პავლე ქუთათელაძე. ბოგენტი ქუთათელაძე.

# ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘ

ყურძნის ავთმყოფობის ნაცრის მოსარჩენი წამალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში) ფუთი [illegible] მან. 50 კაპ.; კახეთში ისყიდება სოფელს ვაჩნაძიანში [illegible] ვლ. ჯანდიერისას, ფუთი [illegible] მან.

საბერველი, გოგირდის მოსაყრელად ვაზზედ, ისყიდება თითო 1 მანეთად. (5—2)

## გამოწვევა

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვინც იცის სად არის და სად სცხოვრებს ვენცელ ხრადეცკი (*Wenzel Hradezky*) 28 წლისა, რომელიც რუსეთში წავიდა პრაგიდამ და ამას წინაზედ მსახურობდა მცხეთაში თ. მუხრანსკისთან, შემატყობინოს ყველა ამ კაცის შესახებ ცნობა მე, რადგან პრაგის სასამართლოსაგან ვარ ამ ვენცელ ხრადეცკის მზრუნველად. ამ კაცს მოუკვდა მამა ანტონ ხრადეცკი ამ წლის იანვარში და დარჩა 25,000 ფლორინის მემკვიდრეობა.

ანტონ ველნერი.

ადვოკატი პრაგაში. ადრესი:

*Prag Obsmarkt*, № 12. (3—2)

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ

# ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲡᲐᲒᲐᲜ

კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში 1[illegible] მაისს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) სამის დღის შემდეგ პერეტორჟკით შტაბს-კაპიტნის ცოლის **ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲛᲐᲜᲘᲨᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ** გასასყიდლად, რომელიც არის მე-3 უჩასტკაში, 1 განყოფ. ქ. ტფილისში, საპიორის ქუჩაზე. ეს მამული ისყიდება პრიკაზიდამ 1879 აღებულისვალის 8,148 მანეთის დროზე შემოუტანლობისათვის.

ვისაც ამ სახლის ყიდვა ჰსურს, დაფასებითი სიები შეუძლიან ნახოს პრიკაზში. (5—2)

## ნასწავლი ყმაწვილი კაცი

ეძებს ალაგს მამულის მოსაველეად ანუ პრიკასჩიკისას, ქალაქში ანუ სოფლად.

ადრესი: სასახლის ქუჩა, არწრუნის ქარვასლა, მინასოვის მაღაზიაში, ა. მ. (3—2)

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ტფილისის ქალაქის გამგეობაში მსურველს შეუძლიან მუდამ დღე, დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ, მოაწეროს ხელი და შესაწევარი შეიტანოს კუბანის მხრის მაიკოპის მაზრის სტანიცა ცარსკოიში საყდარის ასაშენებლად **ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐᲓ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡᲐ.** (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Мая 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ[illegible]